ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.30/10/156

ქ. თბილისი **06 დეკემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) ზურაბ ჩიკვილაძის** სახით და მეორეს მხრივ, **სს „ნინო"** წარმოდგენილი მისი **დირექტორის ლევან ბერულავას** სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ორი წლის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშისთვის დარბაზის ქირავნობის შესყიდვა.**

1.2 კლასიფიკატორის კოდი - (CPVკოდი 70310000 - შენობის იჯარით გაცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურებები).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 708.00 (შვიდასრვა) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული ფოტომასალა დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: 2019 წლის 13 დეკემბერი.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი ეგნატე ნინოშვილის ქ.N8.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

- **საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ანა გამყრელიძე.**
- **IT გიორგი ახვლედიანი**
- **PR მარიამ წულაძე.**
- **ნათია სამხარაძე** - საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება.

6.2 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს 2(ორი) სამუშაო დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეცვლა.

6.3 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.4 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ანგარიშსწორების ფორმით.
7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა
ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
9.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2% ოდენობით.
9.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13. **დაუძლეველი ძალა**

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. **დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. **სხვა პირობები**

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202467320
მის: ქ. თბილისის, დ. აღმაშენებლის გამზ N165
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ა/ა № GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი TRESGE22

ზურაბ ჩიკვილაძე

„მიმწოდებელი“
სს "ნინო"
ს/კ:202886127
მის: ქ.თბილისი, ნინოშვილის ქ. N8
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ: BAGAGE22
ა/ა GE15BG0000000739536300

ლევან ბერულავა

JSC Nino
Digitally signed by JSC Nino
Date: 2019.12.06 18:38:28 +04'00'